№ 155 ოთხშაბათი, 15 ივლისი 1909 წ. № 155

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

„დროების" დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება შ. ფრენზელის კანტორის განცხადება—გეგმა იმ ლატარიის მოგებისა, რომელიც ვარშავაში მოხდება.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ქართული საზაფხულო თეატრი და ბაღი

ხუთშაბათს 16 ივლისს, ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართული იქნება

საზოგადო სეირნობა და წარმოდგენა

ყველასათვის ხელმისაწვდნელ ფასებში.

წარმოდგენილი იქნება **„დათვი"** 1 მოქმ. ჩეხოვისა, გრ. ვოლსკის თარგმანი. **„ოთხი იმერელი"** სცენები 1 მოქმ. დ. მესხისა.

დასასრულ ფოტოგრაფიული ცხოველი სურათები (სინემატოგრაფი)

მონაწილეობენ: კარგარეთლისა, აბაშიძე, მესხი, გუნია, მალიკაშვილი და სხ.

ადგილების ფასი თეატრში 30 კ. 1 მ—მდე. ბაღში შესასვლელი ფასი 1 აბაზი.

საზოგადოების საყურადღებოდ. ვინც თეატრში ბილეთს იყიდის იმას უფლება აქვს რესტორანიდან მოითხოვოს მშვენიერი ვახშამი (ორი თავი შემწვარი და ტკბილეული) ბოთლი ღვინო და ამაში გადიხდის მხოლოდ ერთ მანეთს. (3—2)

გაიყიდა ორი მილიონ
ბანკაზე მეტი
ВѢРНЫЙ ДРУГЪ ЖЕНЩИНЪ
КРЕМЪ КАЗИМИ
МЕТАМОРФОЗА
METAMORPHOSA
ВСЕРОССІЙСКАЯ ВЫСТАВКА 1896
БЕЗСПОРНО УДАЛЯЕТЪ
ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА МОРЩИНЫ
ДѢЛАЕТЪ ЛИЦО СВѢЖИМЪ, НѢЖНЫМЪ И ЮНЫМЪ
BY ROYAL LETTERS PATENT
ПОРАЗИТЕЛЬНЫЙ РЕЗУЛЬТАТЪ УЖЕ ПОСЛѢ ПЕРВОЙ БАНКИ
ТРЕБУЙТЕ ПОДПИСЬ Casimi
(1-6.—1)
(Метиль и Кº N 80007)

რეალური სასწავლებელი

ოზურგეთში

ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებათ იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწი განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10—4)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს, არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—)

ექიმი ე. ვაჩაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში
1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—17)

ექიმი ვ. ღამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—11)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე
დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—3)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოზოვი
(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეხკაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—5)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი. N 9. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 110,

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—11)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი
იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4 7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—194)

ექიმი კბილისა ი. ზ. ჭანტურია
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლო.) (24—310—9)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით. (წლ.—6.—108)

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

ი-ზ-ა-ნ-ე-ბ-ა

ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვა-და-სხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების ნასიამოვნოდ, ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—ფ.—2)

გამოცდილი

მასწავლებელი

(რუსი) ეძებს გაკვეთილებს. ამზადებს ყველა საშუალო სასწავლებელში. სპეციალურად—ლათინური და რუსული. ადრესი დასტოვეთ „დროების" რედაქციაში. (8—6.—2)

ტფილისი, 15 ივლისი

დიდი ხანია მთელს რუსეთში და კერძოდ კავკასიაშიაც დამყარდა ის მდგომარეობა, რომელსაც ბიუროკრატია მშვიდობიანობად ნათლავს, ე. ი. გარეგანი მყუდროება, პოლიციური წესიერება. რევოლიუციონური მოძრაობა შეჩერებულია, ხალხს სული აქვს გაკმენდილი. ერთი სიტყვით, ის სანატრელი ყოფაა მიღწეული, რომელსაც სტოლიპინი, თავის გაპრემიერების დროს, რეფორმების დაწყების პირობად აღიარებდა. როგორც-კი აღვადგენთ დარღვეულს წესიერებას, მაშინვე ნორმალურ მოქალაქობრივ წესწყობილებას შემოვიღებთ და რეფორმებსაც გავაჩაღებთო, სწერდა ის თავის ცნობილს დეკლარაციაში და იმეორებდა მეორე სათათბიროს წინაშე. ბევრ გულუბრყვილო ლიბერალს სჯეროდა ეს დაპირება „საკონსტიტუციო" მთავრობისა და, მაგალითად, თვით „მოსკოვ. ეჟენედელნიკ"-ი, მოსკოველ კადეტთა და ლიბერალთა ცნობილი ორგანო, სწერდა: განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში რუსის ხალხმა იმდენი უფლება მოიპოვა, რომ ურეფორმებოთაც გვარიანი დრო დაგვიდგება, როცა მთავრობა ხელს აიღებს განსაკუთრებულს წესებზე და ნორმალურ მოქალაქობრივ რეჟიმს აღადგენსო. ჟურნალი დროებით კმაყოფილდებოდა განსაკუთრებულ წესების გაუქმებით და სჯეროდა, რომ მშვიდობიანობის აღდგენა გამოიწვევს მთავრობისაგან ამ აქტს.

მაგრამ თვითმპყრობელი ბიუროკრატია რუსის ლიბერალსავით გულუბრყვილო როდია და ასე აჲრე არ ჰფიქრობს უფლების ხელიდან გაგდებას. განსაკუთრებული წესების რეჟიმი ხელში აძლევს მას უტყუარ იარაღს თავის ბატონობის განსამტკიცებლად და ამიტომ ასე ადვილად არ შეელევა მას...

განა „საკონსტიტუციო" მთავრობის მიერ ჲრის მოგონილი ლოზუნგი—ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმები? არა, ეს ძველი რეჟიმის მიერ ნაცადი იარაღია. 1881 წლიდან დაწყებული თვით „კონსტიტუციის" ხანამდე ბიუროკრატია ამ ფრაზას იმეორებდა. განსაკუთრებული წესები **დროებით** იყო შემოღებული ნაროდოვოლცების მოძრაობასთან საბრძოლველად. მოსპეს ეს მოძრაობა, მაგრამ განსაკუთრებული წესები მაინც დარჩა, რადგან საოცრად უადვილებდა ბიუროკრატიას ქვეყნის ბატონობას. ნაცადი იარაღი ეხლა, ქაღალდზე დაწერილ კონსტიტუციის დროს, კიდევ უფრო საჭირო შეიქმნა ბიუროკრატიის უფლების დასაცველად და „გიჟი ხომ არ არის", თავისავე ხელით გამოიჭრას ყელი, როცა „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება" მის მხარეზეა. და აკი არც ჰფიქრობს ასეთ ოპერაციის მოხდენას! განსაკუთრებული წესების ვადა თავდება, უმაღლესის ბრძანებით იგი ისევ გრძელდება. მხოლოდ გულუბრყვილოთა დასამშვიდებლად ხან და ხან გარეგანი ფორმა იცვლება, რაც არსებითად საქმეს სრულიადაც არა სცვლის.

მაგალითად ჩვენი ქვეყანა მოვიყვანოთ. ამას წინად სამხედრო წესები მოხსნეს თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში. მის მაგიერ დარჩა გაძლიერებულ დაცვის წესები. არ გაუვლია ორ კვირას, სათანადო გუბერნატორებმა „კავკაზ"-ში გამოაცხადეს, რომ ძალაში რჩება ყველა ის სავალდებულო დადგენილებანი, რომელნიც სამხედრო წესების დროს გამოიცა. განსხვავება რაოდენობითია და არა თვისებითი: 3000 მანეთის ჯარიმის მაგიერ 300 გადახდება დადგენილების დამრღვეველს და სხვა ამგვარი. ამავე პირობით გაუქმდა სამხედრო წესები პოლონეთშიაც, ბალტიის მხარესაც, შიდა რუსეთშიაც. ამავე პირობებში მთავრობას თამამად შეუძლია დიდ ხანს ამყოფოს კიდევ რუსეთი. სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია თხზას რეფორმების კანონ-პროექტები, შემოიღოს განმანახლებელი კანონები,—ეს ბიუროკრატიას არ შეაშინებს: სანამ განსაკუთრებული დაცვის წესები ხელთ უპყრია, ყოველი ადგილობრივი გუბერნატორი პარლამენტზე უფრო ძლიერია, ყოველ სავალდებულო დადგენილებას უფრო მეტი რეალური ფასი აქვს, ვიდრე საპარლამენტო კანონ-მდებლობას... მთელ „ფილოსოფია" განსაკუთრებულ წესებისა ამაშია და განა უკიდურეს უსუსურობას, გულუ რყვილობას არ ამტკიცებს რუსის ლიბერალური საზოგადოება, როცა სტოლიპინს უსაყვედურებს და როცა „ელემენტალურ საკონსტიტუციო რეჟიმის" თვალსაზრისით ლექციებს უკითხავს მას?!

ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივლისი

თეირანი. ლიახოვს აზრადა აქვს ამ ცოტა ხანში პეტერბურგს დაბრუნდეს, რომ, სადაც ჯერ არს, პირადად მოახსენოს სპარსეთის საქმის ვითარება.

თავრიზი. ნაციონალისტთა მეთაური ტაგიზადე ფირანს წავიდა.

ოსმალეთის კონსულად ნამყოფი მაჰმედ-ალი-ზადე სტამბოლს წავიდა. სათარხანი და ბაგირხანი ფიქრობდნენ თან გაჰყოლოდნენ, მაგრამ ეხლა ამბობენ, თავრიზს თავს ვერ დავანებებთო.

აქ ჯერ კიდევ განაგრძობენ დღესასწაულს სპარსეთის განახლების გამო.

ურმიასა და თავრიზს შორის ტელეგრაფს ჯერ არ დაუწყვია მუშაობა. ურმიის ოლქში საქმის ვითარება ცოტა გამოკეთდა.

თეირანი. არჩიეს კომიტეტი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მეჯლისის დეპუტატთა არჩევნებს. არჩევნები ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი ისმაილ-ხანთან.

„რუსკოე სლოვო"-ს ლონდონელ კორესპონდენტს უნახავს სპარსელ კონსტიტუციონალისტების წარმომადგენელი ლონდონში დოქტორი ისმაილ-ხანი. კორესპონდენტი სწერს:

„დოქტორ ისმაილ-ხანი, ახალგაზდა სპარსეთის წარმომადგენელი, ასე 40 წლისა იქნება, ევროპიული ტანისამოსი აცვია და ფრანგულად ისე წმინდად ლაპარაკობს, როგორც ნამდვილი პარიზელი, რადგან მას დასრულებული აქვს პარიზის უნივერსიტეტი. იგი დიდ ხანს იყო მუზაფერ-ედინ-შაჰის კარის ექიმად და მთელი თავისი გავლენა მოიხმარა, რომ განსვენებული შაჰი კონსტიტუციის გამოცხადებაზე დაეყოლიებინა.

ისმაილ-ხანი, მისაღებ ოთახში რომ გამოვიდა, ხელში ჩემი სავიზიტო ბარათი ეჭირა.

— თქვენ „რუს. სლოვო"-ს წარმომადგენელი ხართ? მკითხა მან და თან ხელი ჩამომართვა.—დიდად მოხარული ვარ: ჩვენ სპარსელები დიდ პატივსა ვსცემთ თქვენს გაზეთს, რადგან იგი სრულს და პირუთვნელს ცნობებს იძლევა სპარსეთზე.

— რუსულსა ჰკითხულობთ?

— არა, მაგრამ მე ყველაფერს მითარგმნიან, რაც კი სპარსეთს შეეხება.

სპარსეთის უკანასკნელ ამბებზე დავიწყეთ საუბარი. ისმაილ-ხანი მეტად ცუდი აზრისაა მაჰმედ-ალი-შაჰის „ჯარზე", ეს მომეტებულ ნაწილად სასახლის მოსამსახურეები და მეჯინიბეები და ვილაცა მაწანწალები არიან, შაჰის მთელი ჯარი გაუწვრთნელი და გამოუცდელი ხროა. ეგეთი ჯარი ჩვენთვის როდი იყო საშიში; ჩვენ მხოლოდ იმისი გვეშინოდა, რომ შაჰის ჯარი არ გამოსულიყო სულთან-ბადიდან და ელჩების საგარაკო სასახლეების ცარცვა რა დაეწყო.

— რა ძალა აქვთ ამ ჟამად რევოლიუციონერებს?

— თავდაპირველად გთხოვთ მაგ სახელს ნუ გვეძახით. ჩვენ ვიცავთ წინანდელს, კანონიერ წესიერებას-კონსტიტუციას, მუზაფერ-ედინ-შაჰის მიერ მოცემულს. ჩვენ კი არა, შაჰი, მისი კარის-კაცები და ლიახოვი არიან რევოლიუციონერები...

ისმაილ-ხანი სპარსეთის ბოლონდელ ყოველ უბედურების მიზეზად სთვლის ლიახოვს, იგი, აღელვებული, დიდხანს მიმტკიცებდა ამას.

— მართლა, თქვენ მკითხეთ, რა ძალა აქვთ კონსტიტუციონალისტებსო. სპარსელები ყველანი კონსტიტუციონალისტები არიან, გარდა ორის ნახევრად—ველურ ტომისა. ჩვენ გვყავს კარგად გაწვრთნილი 40,000 ჯარის-კაცი, შეიარაღებული თანამედროვე, მსწრაფლ-მსროლელ თოფებით. ამას გარდა ჩვენ არტილერიაც გვყავს.

— რა აზრისა ხართ იმაზე, ოსმალეთის ჯარმა, რომ სპარსეთის სამფლობელო დაიჭირა.

— ჩვენ ვერ გაგვიგია რუსეთის ქცევა ამ საქმეში. ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთი აცხადებს პროტესტს, თითქო სპარსეთი რუსის გუბერნია იყოს. სპარსეთს თვითონაც შეეძლო პროტესტის გამოცხადება ოსმალეთის მოქმედების წინააღმდეგ. მაგრამ ოსმალეთმა, ისე როგორც რუსეთმა, ურმიაში ჯარი შეიყვანა თავის ქვეშევრდომთა ინტერების დასაცველად. მართლაც და შესაძლებელი იყო, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომებს ზარალი მოსვლოდათ ველურ ტომებისაგან, რომლებსაც განზრახ აღვირი წაჰყარა შაჰის მთავრობამ. ოსმალეთის ჯარი ურმიაში მეტად რიგიანად და წესიერად იქცევა: საპატიმროებში არა ჰყრის მოქალაქეებს და იარაღს არ ართმევს მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომლებსაც ეს იარაღი სჭირიათ ყაჩაღთაგან თავის დასაცველად...

— რა შედეგი მოჰყვა თქვენს მეცადინეობას ინგლისში?

— ძლიერ დიდი. როცა ჩვენ აქ მოვედით, ინგლისის საზოგადოება, კონსერვატიულ გაზეთების ჩაგონებით, ჩვენი წინააღმდეგი იყო. გარეშე საქმეთა მინისტრი ედუარდ გრეი პალატაში სწორე პასუხს არც კი მისცემდა ხოლმე, როცა დეპუტატები სპარსეთის საქმეებზე ეკითხებოდნენ; გაზეთებმა უკვე ანდერძი აუგეს სპარსეთის დამოუკიდებლობას: „დეილი ტელეგრაფ"-მა მოწინავე წერილი დაბეჭდა სპარსეთის მომავალ გაყოფაზე... მაგრამ ჩვენ მოვაწყეთ საპარლამენტო კომისია, რომლის დადგენილებით ქვედა-პალატის დეპუტატები ყოველ დღე სეტყვასავით აყრიდნენ მთავრობას შეკითხვებს სპარსეთის საქმეებზე. ამ შეკითხვების გავლენით ინგლისის საზოგადოება ჩვენს მხარეს გადმოვიდა და თითონ ედუარდ გრეი იძულებული იყო გამოტეხილიყო, რომ სპარსელი კონსტიტუციონალისტები იცავენ ევროპიელებს და რომ არც ინგლისს და არც რუსეთს საბუთი არა აქვთ სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩაერივნენო.

ჩვენი საუბარი გათავდა. იზმაილ-ხანმა კარებამდე მიმაცილა და გამომშვიდობების დროს მითხრა:

— გამოაცხადეთ თქვენს გაზეთში, რომ სპარსელები პატივსა სცე-

მენ რუსის დიდებულ ხალხს, მაგრამ ეს პატივისცემა შეიძლება სიძულვილად გადიქცეს, თუ რუსეთი ჩაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში.

სეპეხდარი.

სპარსელ კონსტიტუციონალისტმა დოქტორმა კ—მა, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება, საინტერესო წერილი დაბეჭდა გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ში სპარსელ კონსტიტუციონალისტების მეთაურის სეპეხდარის შესახებ.

სეპეხდარი გამოჩენილ გვარისაა. იგი ამ ჟამად 60 წლისაა; დიდი მამულისა და შეძლების პატრონია. მისი მამული ზომით 4,000 ოთხკუთხი კილომეტრამდე, მდებარეობს გილანში, კასპიის ზღვის სამხრეთით. მას ბევრჯელ ეჭირა უმაღლესი თანამდებობა, იგი რამდენჯერმე იყო მინისტრად, სხვათა შორის სამხედრო მინისტრად, და თავრიზისა და გილანის გენერალ-გუბერნატორად. იგი მუდამ სამართლიანად და კაცთმოყვარულად ექცეოდა ხალხსა და არა თუ თითონ არ იღებდა ქრთამს, იგი არც თავის ხელქვეითებს აძლევდა ქრთამის აღებისა და ხალხის შეწუხების ნებას. ხალხიც სამაგიეროდ დიდ პატივსი სცემდა პატიოსან სეპეხდარს.

სეპეხდარი მეჯლისის განადგურების შემდეგ რევოლიუციონერებს მიემხრო და ფულს აძლევდა რევოლიუციონერ კომიტეტს იარაღის საყიდლად და რაზმების შესანახად. რეშტისა და საზოგადოდ გილანის რევოლიუციონერი რაზმები სეპეხდარმა საკუთარის ხარჯით მოაწყო.

სეპეხდარი განათლებული ნიჭიერი და გამჭრიახე სახელმწიფო მოღვაწეა. ბახტიარების ხანთან სარდალ ასადთან ერთად მან ბოლო მოუღო მამედ-ალი-შაჰის მტარვალობას და ამით უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა და უფრო შეაყვარა თავი ხალხს. სპარსეთის კონსტიტუციონალისტები, ესე იგი სპარსეთის ხალხის სამი მეოთხედი მის მხარესაა და მანამდე დაუჭერს მას მხარს, სანამ ახალი წეს-წყობილება რიგზე არ დამკვიდრდება სპარსეთში. წინდახედული და თავდაჭერილი სეპეხდარი უცხოელებთანაც კარგად მოაწყობს საქმეს.

დასასრულ დოქტორი კ—ი სწერს: „თუ რუსეთმა კაზვინიდან თეირანში აღარ გაგზავნეს თავიანთი ჯარი შაჰის საშველად,—ეს უნდა დავუმადლოთ სეპეხდარს, რომელმაც საჯაროდ სთქვა ენზელიში: „თუ გამოჩნდება, რომ რუსეთს თავის ქვეშევრდომთა ეკონომიურ ინტერესების დაცვის გარდა, ჩრდილოეთ-სპარსეთის დაპყრობაც სწადიან, მაშინ ჩემის ხელმძღვანელობით მთელი სპარსეთი აჯანყდება რუსეთის წინააღმდეგ და უცხოელებს გაჰჟლეტავსო“.

რუსის ჯარი სპარსეთში.

რუსის დიპლომატებმა ჯერ ვერ გადასწყვიტეს, გამოიყვანოს რუსეთმა ჯარი სპარსეთიდან თუ არა. ახლად გაგზავნილ ჯარის, ანუ კაზვინის რაზმის დატოვება მეტად მიაჩნიათ, რადგან სპარსეთში უკვე დამყარდა მშვიდობიანობა. უთანხმოება მოსდით გენ. სნარსკის რაზმის თაობაზე. ამ ჟამად ლონდონსა და პეტერბურგს შორის მოლაპარაკება გამართული, რომ ინგლისმა და რუსეთმა ჯერ ოსმალეთს გააყვანინონ ჯარი ურმიიდან. თუ ინგლის-რუსეთის საერთო მოთხოვნით ოსმალეთი გაიყვანს ჯარს ურმიიდან, მაშინ რუსეთიც გამოიყვანს გენ. სნარსკის რაზმს თავრიზიდან.

რუსეთის ზარალი.

რუსეთის მთავრობა ამ ჟამად ანგარიშობს იმ ზარალს, რომელიც მას მოუტანა უწესობამ სპარსეთში. ჯერ ზედ მიწევნით არაა ნაანგარიშევი ეს ზარალი. იციან მხოლოდ, რომ თავრიზის გზაზე ზარალი ტელეფონისა და ტელეგრაფის გაფუჭებისგან უდრის 11,500 მან. სამადინის გზაზე—20,00 მან.

საარჩევნო კანონი.

დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ სპარსეთის ახალი მეჯლისი თავდაპირველად საარჩევნო კანონის შეცვლას შეუდგებაო. მეჯლისის დეპუტატთა რიცხვი, ეხლანდელ 156 ნაცვლად, გადიდებულ იქნება 200-მდე.

სომხის უნივერსიტეტი თავრიზში.

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თავრიზიდან: სომხები მემრისიდან უნივერსიტეტს აარსებენ თავრიზში. შესრულდება სომხების ნატვრა—საკუთარ უმაღლეს სასწავლებლის, სომეხთა სამეცნიერო და კულტურულ ცენტრის დაარსება... რაკი რუსეთში არ მისცეს ნება, ამიტომ სომხები სპარსეთში აარსებენ საკუთარ უნივერსიტეტს.

მომავალ უნივერსიტეტისთვის უკვე დაამზადეს შესაფერი სახლი დიდის ბაღით და ფულიც შეკრიბეს; სომხის ქველმოქმედმა ზურაბიანმა ამ საქმისთვის უკვე შესწირა 75,000 მ.

სამკურნალო ფაკულტეტისთვის აპირებენ აქაურ სომხის საავადმყოფოს გაფართოვებას: მას კლინიკად გადააქცევენ.

შაჰის გვირგვინის კურთხევა.

ახალ შაჰის გვირგვინის კურთხევა მოხდება 18 ივლისს. („რ.“)

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

14 ივლისი

საზღვარ-გარეთ.

პარიზი. ჰავასის სააგენტოს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: გავრცელდა ის ხმა, ვითომ საბერძნეთში სამხედრო შეთქმულება ყოფილიყოს. ამ უკანასკნელ დღეებში თეოტოკისის სამინისტროში ოფიცრებმა რამდენიმე უკანონო კრება გამართეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რალის სამინისტრომ წესიერება აღადგინა, ოფიცრები დარწმუნდნენ, რომ რალი დაუყოვნებლივ შეუდგება ჯარის რეორგანიზაციას.

პარიზი. რესპუბლიკის პრეზიდენტს ფალიერს ხელმწიფე-იმპერატორის დახვედრის დროს თან ახლდებიან, საზღვაო, გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრები და საზღვაო მინისტრის ამხანაგი შერონი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. დეპუტატმა მაკენამ, სხვათა შორის სთქვა, მთავრობამ ყოველნაირი ზომები მიიღო, რომ 1912 წლისთვის ოთხი დრედნოუტი იყოს მზადაო.

რუსეთი

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა ამავე დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ზუევი.

პენზა. გოროდიშჩენის მაზრაში დიდი სეტყვა მოვიდა. სეტყვა სიდიდით ქათმის კვერცხს უდრიდა. სეტყვამ სამი სოფლის საზოგადოებაში გააფუჭა 678 დესეტინა ნათესი. მინდორში სეტყვამ აუარებელი ფრინველი და კურდღელი დახოცა.

ოდესსა. სამხედრო სასამართლომ დაიწყო გარჩევა ოდესის უნივერსიტეტის 9 სტუდენტის. ამ სტუდენტებს სტუდენტების ცენტრალურ ორგანოს წევრობა ბრალდებათ. მათვე აბრალებენ ისეთ ორგანიზაციის დაარსებას, რომელსაც ეხლანდელ წესწყობილების დარღვევა ჰქონდა მიზნად. სასამართლოში გამოცხადდა 8 კაცი, ერთი გაქცეულია. მოწმეებად გამოწვეულია 50 კაცზე მეტი. დამცველებად, სხვათა შორის, არიან კუზმინ-კარაევი და ბობიანსკი.

ვორონეჟი. სამხედრო სასამართლომ დაამთავრა 514 კაცის საქმე რომელთაც ბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერობა და ვორონეჟის გუბერნიაში 1906—8 წელს გლეხთა ძმობების დაარსება. სასამართლომ გადაუწყვიტა 46 კატორღა სხვა და სხვა ვადით, 11 სამ-სამი წლით და ერთს—ერთი თვით სატუსაღო, 361 გადასახლება და 95 გაამართლა.

ხოლერა

პეტერბურგი. 13 ივლისს ხოლერით ავად გახდა 55, გარდაიცვალა 26, ავად არის 728 კაცი.

არხანგელსკი. ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4 კაცი; კამსკის მაზრაში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 7 კაცი.

რიაზანი. სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 38, გარდაიცვალა 24 კაცი.

მოგილევი. მოგილევის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოდ იქმნა გამოცხადებული.

ჟურნალისტის დღიური

5.

სტუდენტების კავშირი.

უკრაინული (მალოროსიული) გაზეთი „რადა“ იუწყება, ლვოვში პირველ ივლისს დამთავრდა უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კრება. კრებას ავსტრიის 500 უკრაინელი სტუდენტი დასწრებია. დელეგატები რუსეთის უკრაინელებსაც გაუგზავნიათ შემდეგ ქალაქებიდან: კიევიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან, მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და ტამბოვიდან. კრება ოთხი დღე გაგრძელებულა. პირველი ორი დღე სათადარიგო და საორგანიზაციო საკითხებისთვის მოუნდომებიათ, უკანასკნელი ორი დღე კი—რეფერატების კითხვისთვის. უკრაინელი სტუდენტები შეკავშირებულან ორის მოსაზრებით: 1. რაც შეიძლება მეტი სულიერი ერთობა დაამყარონ უკრაინელ სტუდენტთა შორის და 2. სამშობლოს კულტურულ მუშაობაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. რეფერენტებმა კრებაზე აღნიშნავს, რომ სტუდენტურმა მოძრაობამ თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა დაჰკარგა, სტუდენტობაშიაც მოხდა დიფერენციაცია, და ამიტომ მათი ერთად მოქმედება საზოგადო პოლიტიკის ასპარეზზე წარმოუდგენელიაო. მაგრამ, იმავე რეფერენტების აზრით, არის ერთი ნიადაგი, რომელზედაც შეუძლიან შეკავშირდეს უკრაინელი სტუდენტობა,—ეს ნიადაგი კულტურული მუშაობააო. უკრაინის ხალხი ეკონომიურადა და კულტურულად დაცემულია. ვინ უნდა მიეშველოს მათ, თუ არა განათლებული ახალგაზრდობა? ამბობენ სტუდენტები... უკრაინულ სტუდენტებს გაუთვალისწინებიათ რუსეთის საზოგადო მდგომარეობა, უკრაინელ ხალხის ცხოვრების დღევანდელი პირობები და საჭიროდ უცვნიათ ისეთ უპარტიო სტუდენტურ ორგანიზაციის დაარსება, რომელიც უკრაინულ ხალხის მომწიფებულ საჭიროებებს დააკმაყოფილებს, ან თავის წვლილს მაინც შეიტანს საზოგადო მუშაობაში. ეს ორგანიზაცია უსათუოდ ფედერატიულ პრინციპზე უნდა იყოს აშენებული. ალბად, უკრაინელ სტუდენტებს აზრადა აქვთ ადგილობრივ დაარსონ სტუდენტური ორგანიზაციები და მერე მათ შორის ფედერატიული კავშირი დაამყარონ.

ჩვენ აღვნიშნეთ ეს საყურადღებო ამბავი უკრაინელთა ცხოვრებიდან, რადგან დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია. რეაქციის გამარჯვების შემდეგ მთელ რუსეთში გაისმა ხმა, კულტურულ მუშაობას უნდა შეუდგეთო. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბევრი ბნელი მხარე აღმოაჩინა რუსეთის ცხოვრებაში, და საზოგადოებამაც მაშინვე აღიარა, თუ კულტურულ მუშაობას არ მოუმარჯვეთ, არა თუ თვალსაჩინო პოლიტიკური ცვლილება, საზოგადოდ პროგრესიული წინ-მსვლელობაც კი ძალიან გაძნელდებაო.

ასეთსავე დღიურ ლოზუნგად გადაიქცა კულტურული მუშაობა საქართველოში. საჭიროა, რომ ეს ლოზუნგი ცარიელ ლოზუნგად არ დარჩეს. ყველამ, ვისაც კი მუშაობისთვის ძალ-ღონე შესწევს, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთო მუშაობაში.

კარგი იქნებოდა, ქართველ სტუდენტებსაც მიებაძათ უკრაინელ სტუდენტებისათვის და ისეთივე სტუდენტური კავშირი დაეარსებინათ. როგორც ვიცით, თითქმის ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქში არსებობს ქართული სათვისტომოები. ამას გარდა, ზოგიერთ ქალაქებში დაარსდა სტუდენტთა საქვეცნიერო წრეები. ამ ძირითად ერთეულებიდან შეიძლება შესდგეს სტუდენტების კავშირი. მართალია, ობიექტიური პირობები იმნაირია, რომ კავშირის ცხოველ-მყოფელი მოქმედება, პირველ ხანებში მაინც, ძალიან შეფერხებული იქნება, მაგრამ ქართველი სტუდენტობა ამას არ უნდა შეუშინდეს. შვარცის საუნივერსიტეტო წესდებით, უნივერსიტეტებში ყოველგვარი ორგანიზაციები, თუნდაც ისინი საგნად ყოვლად მშვიდობიან მოქმედებას ისახავდნენ, აკრძალულიაო. შვარცმა ფაქტიურად კიდეც მოსპო ასეთი ორგანიზაციები, მოსპო აგრეთვე სათვისტომოებიც. მაგრამ, როგორც მკითხველებსაც ეცოდინებათ, სათათბიროს ცენტრი და ზოგიერთი მემარჯვენეც კი წინააღმდეგნი არიან შვარცის პროექტისა. არ შეიძლება, რომ სათათბირომ ცოტაოდენი ცვლილება არ შეიტანოს შვარცის პროექტში და რამდენიმე თავისუფლება მაინც არ მიანიჭოს ისეთ მშვიდობიან ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად, სათვისტომოები. დღევანდელ ვითარების გამო დიად პოლიტიკურ თავისუფლების მოლოდინში ვერ ვიქნებით, ჯერ-ჯერობით მაინც, მაგრამ, როდესაც რუსეთში სამხედრო წესები მოიხსნება და ნორმალური ცხოვრება დაიწყება, არ შეიძლება სტუდენტთა კავშირის განხორციელება არ მოხერხდეს. თუ ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, სტუდენტთა კავშირის დაარსება საოცნებო საქმედ არ უნდა გვეჩვენოს.

ობიექტიური პირობები საქმის დამაბრკოლებელი ვერ გახდება, თუ თვით სტუდენტობამ მოისურვა ასეთ კავშირის დაარსება. ჩემის წარმოდგენით, თვით სტუდენტებიც არ უნდა გახდნენ ამისი წინააღმდეგნი. ერთად-ერთი დაბრკოლება, რომელიც კი შეიძლება გადაეღობოს წინ ასეთს კავშირს, იქნება ის წარმოდგენა თვით სტუდენტებისა, ვითომ სხვა და სხვა ჯგუფების შეთანხმება შეუძლებელიაო. ვინც კარგად იცნობს სათვისტომოების ისტორიას, ეცოდინება, რომ სხვა და სხვა ჯგუფების უთანხმოება ამ სათვისტომოებშიაც არსებობდა. საქმე ბევრგან იქამდისაც კი მივიდა, რომ ზოგიერთები ქართულ სათვისტომოებიდანაც გამოვიდნენ ეგრედ წოდებული კავკასიური სათვისტომოები დაარსეს. ეს მოვლენა შედეგი იყო იმ ყალბ წარმოდგენისა, რომელმაც სტუდენტების ნაწილში თავი იჩინა ეროვნულ საქმეებსა და ინტერნაციონალიზმის შესა-

---

შეთანხმების იმედი

1903 წლიდან 1909 წლამდე.

5*).

ამ საერთო აღშფოთებისა და მოძრაობის დროს მოხდა ერთი თვალსაჩინო გარემოება. ქართველ პოლიტიკურ პარტიებს მიემატა ერთი ახალი პარტია, რომელმაც „ქართველ დემოკრატიულ პარტიის“ ანუ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის“ სახელი დაირქვა. მართალია, ეს ახალი პარტია უდღეო გამოდგა. მას თითქმის არავითარი მოქმედება არ გამოუჩენია, გარდა იმისა, რომ მან შეადგინა პროგრამა. ეს პროგრამაც დღეს ყველას მიერ დავიწყებულია. მაგრამ მოვა დრო და მის გარეშემო ხელმეორედ გაიმართება სჯა-ბაასი და არა მარტო ლაპარაკის ჟინის მოსაკლავად, არამედ სამოქმედო საქმისათვის.

ჩვენს ცხოვრებაში ვხედავთ იმგვარ პირობებს, რომელნიც შესაძლებლად ხდიან დემოკრატიულ პარტიის ზრდას საქართველოში. ეს პირობებია წვრილ მესაკუთრეთა სიმრავლე და ქართველ ბურჟუაზიის ზრდა. კლასობრივ დიფერენციაციის დამთავრების უმალ, სამოქმედოდ გამოვა საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ეჭვს გარეშეა, მიეკედლება ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილიც. აი, სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პარტია ჯერ ხნობით პარტიად არც კი ჩაითვლება, ჩვენ მეტად არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ამ პარტიის პროგრამის ის მუხლები, რომელნიც ავტონომიას შეეხებიან. აქ უფრო დაწვრილებით განსაზღვრულია ავტონომიურ საქართველოს ორგანოების კომპეტენცია და ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ავტონომიის ბუნება თან-დათან ირკვეოდა და საზოგადოებაში ჰმუშავდებოდა სალი აზრი იმის შესახებ.

აი ზოგიერთი მუხლი ამ პროგრამისა: 63) რუსეთში ახალის სახელმწიფო წყობილების დაარსებისთანავე ყველა ეროვნებათა და კერძოდ საქართველოს უნდა მიეცეს უფლება დაამყაროს ავტონომიური მართველობა. 64) ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელი იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობისა. 65) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა აღნიშნოს საგანგებო კრებამ, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა და ბათომის სოხუმის და ზაქათალის ოლქების მიერ თავისუფლად არჩეულ დეპუტატებისაგან. 66) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა დაამტკიცოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ... საქართველოს პარლამენტი არ უნდა შეეხოს შემდეგ საგნებს: 67) ა) რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესის უფლების წარმომადგენელისათვის საჭირო ხარჯს, ბ) ჯარისა და ფლოტის საქმეს, გ) ომის გამოცხადებასა და შერიგებას დ) პოლიტიკურ კავშირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელსამე სახელმწიფოსთან, ე) გარეშე საქმეთა პოლიტიკას, ვ) ბაჟის დადებას გარეშე საქონელზე, ზ) ქარხნებისა და სავაჭრო კანონმდებლობას, ჰ) არა-პირდაპირ გადასახადის კანონის გამოცემას, თ) რკინის გზებისა და სხვა გზების გაკეთებას, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექმნებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქმნებიან აგებულნი, ი) ფულის მოჭრას. 68) ავტონომიურ საქართველოს პარლამენტი განაგებს შემდეგ საგნებს: ა) სწავლა-განათლების საქმე, ბ) სამსაჯულო და ყველა ადგილობრივ კანონების გამოცემას, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგეოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონს, გ) ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლას ხმელეთსა თუ ზღვაზე, დ) ადგილობრივ ფინანსებს, ე) საავტონომიო უძრავ ქონებას, ვ) სტამბავს, ზ) ფოსტა-ტელეგრაფსა და ტელეფონს, თ) ეკლესიას, ი) საზოგადო განმრთელობის საქმეს და კ) ყველა სხვა საზოგადო და სახელმწიფო ადგილობრივ საქმეს. 69) .. ავტონომიურ საქართველოს რუსეთის სხვა ავტონომიურ ერებთან შეკავშირების უფლება უნდა ექმნეს, იმ პირობებით, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთელს სახელმწიფოს ინტერესებს. 71) საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადო სახელმწიფო ხარჯში, რაც მის მცხოვრებლების რიცხვს პროპორციონალურად ხვდება და ამისთვის საკუთარის ხაზინისაგან უნდა გადასდებდეს განსაზღვრულ პროცენტს. 72) რუსეთის ხაზინიდან არა-პირდაპირის გადასახადისაგან მიეცემა საქართველოს ის პროცენტი, რომელიც ერგება მას მცხოვრებთა რაოდენობის დაგვარად. 73) რუსეთის მთავარ-მართებელი, დანიშნული უმაღლესის მთავრობისაგან, ყურს უნდა უგდებდეს, რომ ავტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს პარლამენტისაგან გამოცემული კანონები. 74) ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფოს აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს.

ამ პროგრამაში ბევრი რამ არის საყურადღებო. პროგრამა წინდაწინ არა სწყვეტს საქართველოს საზღვრებს, ავტონომიას ანიჭებს რუსეთის სხვა ერებთან შეკავშირების უფლებას, და წამოყენებული აქვს სრულიად ახალი საკითხი საქართველოს ელჩის ან ემისარის შესახებ რუსეთის მთავრობასთან. ასე გადასწყდება საქმე თუ ისე, ეტყობა, რომ პროგრამის შემდგენელნი სცდილობენ ყველა პრაქტიკული საკითხი გამოესახათ ცალკე მუხლებში. ამ საქმის მნიშვნელობა მომავალში უფრო აშკარად აღმოჩნდება.

1906 წლის განმავლობაში მომხდარ ამბების სიაში უნდა იქმნას აღნიშნული რეფერატები წაკითხულ ავტონომიის შესახებ ბ. გვაზავას და ვარ. ჩერქეზიშვილის მიერ. ჩერქეზიშვილის რეფერატი აუტანელ პირობებში იკითხებოდა. აუდიტორიამ სოციალ-დემოკრატების მეთაურობით, ისეთი აურ-ზაური შეჰქმნა, რომ თავმჯდომარემ გ. ლასხიშვილმა, როდესაც კამათი გაიმართა, უარი სთქვა თავმჯდომარეობაზე და რეფერენტთან ერთად დარბაზი მიატოვა. ეს მოხდა 4 ივნისს 1906 წელს ქალაქის სამმართველოს დარბაზში. საარტისტო საზოგადოებაში შეკრებილი ხალხი უფრო თავდაჭერით მიეგება ბ. გვაზავას რეფერატს და კამათს აქ უფრო დამკვიდრებული ხასიათი ჰქონდა. ავტონომიის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატები, მეორეს მხრივ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. ამავე ხანში იურიდიულ საზოგადოებაში თ-დ გ. თუმანოვმა წაიკითხა რეფერატი: „სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობა კავკასიისათვის“. აქაც უმთავრესად საქართველოს ავტონომიის საკითხი იყო საკამათო საგანი. და მოწინააღმდეგეთა შორის გამოვიდნენ მარტო სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. ამ მოწინააღმდეგების აზრი საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის, ამიტომ მივაქციოთ ამ კამათს მეტი ყურადღება.

ორატორების რიცხვი ორ ჯგუფად იყოფებოდა. ერთის მხრივ იყვნენ ქართველი ავტონომისტები, რომელთაც არ აინტერესებდათ საერთო კავკასიის თვითმმართველობის საკითხი, მეორეს მხრივ იყვნენ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, რომელნიც ხაზს უსვამდნენ კავკასიის ავტონომიის დაფუძნების საჭიროებას, საქართველოს ავტონომიის საკითხს კი ან სრულიად უარჰყოფდნენ, ან აფუჩეჩებდნენ და უმნიშვნელოდ ხდიდნენ. ბ-ნი გვაზავა ამტკიცებდა „აღმოსავლეთსა და დასავლეთ კავკასიის შორის საერთო საქმე არ არის“, განკერძოება კი დიდიაო. დასავლეთ კავკასიაში (საქართველოში) მუშათა საკითხი მომწიფებულია, აღმოსავლეთში კი არა. საქართველოში საეკლესიო საკითხს დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ, სომხები და მაჰმადიანები კი „კლერიკალიზმით“ არიან გაჟღენთილნი. ქალი მამაკაცთან გათანასწორებულია საქართველოში, აღმოსავლეთში ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზეა ქალის უფლებრივი მდგომარეობა. და სხვა და სხვა.

ბ-ნი ვერმიშევი, კავკასიის ავტონომიის მცველი და საქართველოს ავტონომიის უარმყოფელი, თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ „ბევრია საერთო საკითხი კავკასიის ერებისთვის“. კავკასიის ერთი კუთხე აწვდის მეორეს საქონელს, მუშა ხალხი ვრცელ ტერიტორიაზე თავისუფლად შოულობს სამუშაოს. საერთო უნდა იყოს კავკასიის მკვიდრთათვის მფლობელობა და სარგებლობა წყლებისა, გზებისა და სხვა „თვითვეულებს ცალკე გაუჭირდება კულტურულ ცენტრის შექმნა. ასეთი ცენტრია უკვე ტფილისი“. ამაზე ბ-ნმა გვაზავამ ისა სთქვა, რომ ის, რაც ბ-ნ ვერმიშევს საერთო ინტერესებად მიაჩნია—უნივერსიტეტი, რკინის გზები, მინდვრების მორწყვა და სხვა, კავკასიის ავტონომიის კომპეტენციას კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოების კომპეტენციას. „რაც შეეხება მუშების ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლას, არ მესმის საქართველოს ავტონომია რითი შეუშლის ამას ხელს? ავტონომიას რკინის კედლები ხომ არ ექნება შემოვლილი, საზღვარზე დამოქნა და შეიარაღებული ჯარი ხომ არ იქნება დაყენებულიო“? ყველა ამ საკითხის გარდა ენის ხმარების საკითხმაც გამოიწვია უთანხმოება. რა ენით უნდა ელაპარაკნენ ერთმანეთს დეპუტატები კავკასიის სეიმში? „საკვირველია ღმერთმანი, ბრძანებდა ბ-ნი დოლუხანოვი, რა თქმა უნდა რუსული ენით ილაპარაკებენ. ნუ თუ ქართველებს ასი კაცი არ ეყოლებათ რუსულის მცოდნე სეიმში გასაგზავნად“. ბატონმა გვაზავამ იწყინა ეს. „ეგებ ხალხი თავის ინტერესების დასაცავად რუსული ენის მცოდნეს არა ჰგზავნის და მაშინ ხომ ბაბილონის ენის არევა გამოვაო“. მაგრამ კრებაზე სხვა მოსაზრებაც იყო წამოყენებული. ვექილი ედელხანოვი ამბობდა: „რა დროს საქართველოს ავტონომიაა, როდესაც მთელი აღმოსავლეთი შეერთებას აპირებს! მაჰმადიანთა ქვეყნები პანისლამიზმით იჟღენთებიან და დღეს თუ ხვალ ქრისტიანულ დასავლეთზე წამოვლენ იერიშითო“. ბ-ნი ალი-

---

*) იხ. „დროება“ N 154.

ავ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. სტუდენტებმა პოლიტიკური ბრძოლა სათვისტომებშიაც გადაიტანეს. კავკასიის სათვისტომების დაარსება შეიძლება ჩაითვალოს ინტერნაციონალურ იდეის დემონსტრაციად. სხვა რამ რეალური გასამართლებელი საბუთი ამნაირ სათვისტომების დაარსებას არა ჰქონდა.

დღეს ვხედავთ, რომ სხვა და სხვა ჯგუფის წარმომადგენელნი სათვისტომოებს ამნაირის უკიდურესის თვალ-საზრისით აღარ უცქერიან. მათთვის სათვისტომო მხოლოდ „სათვისტომოა“,—არც მეტი, არც ნაკლები. საერთო კულტურული მუშაობა,—აი ის მინიმუმი, რომლის გარეშემო შეკავშირებაც შესაძლებლად მიაჩნიათ თითქმის ყველა უნივერსიტეტისების. სათვისტომოში აღარ არსებობს ის სიმწვავე ზოგიერთ საკითხის შესახებ, როგორიც წინად არსებობდა. ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ სტუდენტთა შორის საზოგადოდ ყველა საკითხში შეთანხმება მომხდარიყოს,—სრულიადაც არა· მაგრამ თვით სათვისტომოებში, რომელნიც ყოველგვარ პოლიტიკურ ტენდენციის გარეშე სდგანან, თანასწორობის დამყარება შესაძლებელი გახდა. ასეთ მოვლენა მარტო ქართველ სტუდენტებში არ არის. უკრაინულების კრება, რომელზედაც ზევით ვსწერდით, უტყუარი საბუთია იმისა, რომ საზოგადოდ სტუდენტები შესაძლებლად ჰხედავენ შეთანხმებას ისეთს საკითხებში, როგორიცაა კულტურული მუშაობა სამშობლო ნიადაგზე, უკრაინულ ახალ-გაზდობაშიაც ისეთივე ჯგუფობრივი დიფერენციაცია იყო, როგორც ჩვენში; მაგრამ დღეს, როგორცა ჰხედავთ, მათ საერთო სამოქმედო პლატფორმა გამოუძებნიათ.

სულიერი განწყობილება ქართველ სტუდენტებისა იმნაირია, რომ მათაც შეუძლიანთ შეთანხმება. ყველა ამას გარდა, ქართველებისთვის განსაკუთრებით საჭიროა ასეთი შეთანხმება. ჩვენს ქვეყანას ძალიან ესაჭიროება მუშაკნი. ქართველი ხალხი უმწეო მდგომარეობაშია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტობა თან და თან ქვეითდება ზნეობრივად და გონებრივად ვინ მოიფიქრებდა მაგალითად, რამდენისამე წლის წინად, რომ ქართველი სტუდენტები ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩაეწერებოდნენ და აღმოჩნდებოდნენ ისეთი გათახსირებული ელემენტები, რომელიაც ამისთანა მოვლენას სრულიად გულ-გრილად შეხედავდნენ? აუცილებლად საჭიროა ასეთს გამხრწნელ მოვლენებს წინ შეკავშირებულ სტუდენტთა მორალური ძალა დაუდგეს.

ყველა ეს იმდენად საყურადღებო საქმეა, რომ კარგი იქნება თვით სტუდენტებმაც გამოსთქვან თავიანთი აზრი ამის შესახებ. **შინაური.**

კიდევ პროვოკატორი

აზეფი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციის უფროსად ნამყოფმა რატაევმა გაზეთ „მატენ“-ში წერილი დასტამბა. რატაევი სწერდა, რომ აზეფი პროვოკატორი არ იყო, იგი საიდუმლო პოლიციის უბრალო აგენტი იყოო. ბურცევმა ამ წერილის დაბეჭდვისთანავე განაცხადა, დავამტკიცებ, რომ აზეფი პროვოკატორი იყოო. „გოლ. მ.“ იტყვით, ბურცევს უკვე აუსრულებია თავისი სიტყვა. „მატენის“ 10 ივლისის ნომერში დაბეჭდილა ბურცევის წერილი. მოგვყავს ამ წერილის შინაარს მოკლედ.

1903 წელს, გერშუნის დაპატიმრების შემდეგ, სოციალისტ-რევოლიუციონერების სამხედრო ორგანიზაციის სათავეში აზეფი ჩადგა. განა შესაძლებელია, რომ პარტიის სამხედრო ორგანიზაციის სათავეში ისეთი კაცი ჩასდგეს, რომელსაც ამ მხრივ არაფერი გაეკეთებინოს? საღი გონების ადამიანი წინააღმდეგ აზრის მტკიცებას არ დაიწყებს. თუ რევოლიუციონერებს ჰკითხავთ, ყველანი გეტყვიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე აზეფმა მოაკვლევინა, მან მოაწყო ეს საქმე. პლევეს მოკვლის საქმემ ისეთი სახელი გაუკეთა აზეფს, რომ როდესაც იგი მკვლელობის შემდეგ პარტიის ერთ კონგრესზე მოვიდა, რევოლიუციონერმა ქალმა ეკატერინა ბრეშკოვსკაიამ კინაღამ მუხლები დაუკოცნა. ბრეშკოვსკაია პარტიაში 40 წელიწადი მუშაობდა და ბოლო დროს იგი აზეფმა გასცა. როდესაც მე აზეფის პროვოკატორობა გამოვაქვეყნე, ვერაფერს ვერ გავხდი. რევოლიუციონერები ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ აზეფი, პლევეს მკვლელი, პროვოკატორი იყო. დანიშნეს სამედიატორო სასამართლო, მოსამართლეებად მოწვეულნი იყვნენ: ვერა ფიგნერი, ლოპატინი და კროპოტკინი. ყველაფერი რაც კი ვიცოდი აზეფზე, სასამართლოს გადავეცი. მოწმეებს შორის ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც პლევეს მოკვლაში მონაწილეობა მიიღეს და მათ შორის სავენკოვი. სავენკოვი აზეფის თაყვანისმცემელი იყო და ამიტომ იმის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს: სავენკოვი აზეფს მუშაობის დროს ადევნებდა თვალყურს, იცოდა რა როგორ თამაშობდა იგი პლევეს მკვლელობაში. დამსწრეებმაც ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს, რომ პლევეს მკვლელობის მოწყობა აზეფის საქმე იყო. აზეფმა შეიმუშავა მკვლელობის გეგმა, გააკეთებინა ყუმბარები, მის მიერვე მიჩენილი კაცები ადევნებდნენ თვალყურს პლევეს. მანვე დანიშნა მკვლელები და ხელმძღვანელად სავენკოვი დააყენა. აი ასეთი შთაბეჭდილება გამოიტანა სამედიატორო სასამართლომ.

ამას გარდა, სხვა საბუთიც მაქვს, რომ პლევეს მოკვლა აზეფმა მოაწყო. აზეფმა პლევეს მოკვლის შემდეგ სავინკოვს წერილი მისწერა. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „პლევე მე მოვაკვლევინე და ამ საკვირველ დღე ჩემ ცხოვრებაში ერთი შესანიშნავი დღე იქნებაო“. პლევე 1904 წელს 16 ივლისს მოჰკლეს. მისი მოკვლა პირველად ამავე წლის 9 ივლისს უნდოდათ. მ დღეს საზონოვი და კალიაევი დანიშნულ ადგილებზე იდგნენ ყუმბარები ხელში და პლევეს უცდიდნენ. მინისტრმა ამ დღეს აღარ გამოიარა. საზონოვი და კალიაევი ამის შემდეგ ვილნოში წავიდნენ. იქ მათ აზეფი უცდიდათ. იქ გადასწყვიტეს პლევე 16 ივლისს მოეკლათ. ამ დღეს პლევე ცარსკოე სელოში უნდა წასულიყო. მართლაც, საზონოვმა მოჰკლა პლევე. აზეფი ამ დროს ვილნოში იყო. გაიგო თუ არა პლევეს მოჰკვლის ამბავი მეორე დღესვე საზღვარ-გარეთ წავიდა. პლევეს მკვლელებიდან დააპატიმრეს მარტო საზონოვი და სიკორსკი. როდესაც საზონოვმა გაიგო, რომ მე აზეფს პროვოკატორობასა და ღალატს ვაბრალებ, მან სატუსაღოდან წერილი გამოგზავნა. წერილში საზონოვი ერთ ადგილს სწერს: „ის დღე არ დამავიწყდება, როდესაც აზეფმა ყუმბარა მომცა და პლევეს მოსაკლავად გამგზავნაო“, ბურცევი სხვა რამეების გამოქვეყნებასაც ჰპირდება საზოგადოებას.

გარტინგი პეტერბურგში.

„გარტინგი პეტერბურგში ამ ხუთი დღის წინედ ჩამოსულა. ჩამოსვლისთანავე იგი სასტუმროში დამდგარა, მაგრამ მალე კერძო სახლში გადასულა. იმის სახლს დამცველ პოლიციის აგენტები იცავენ. გარტინგს უნახავს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი კურლოვი. გარტინგი ამ მოკლე ხანში ამერიკაში აპირობს წასვლას თურმე.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **რეფორმები კავკასიაში.** „გოლ. მოსკ.“ სიტყვით, ნამესტნიკი იმიტომ ჩავიდა პეტერბურგს, რომ წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას მის მიერ შემუშავებულ რეფორმების პროექტები. პირველად სამინისტრო განიხილავს საერობო საკითხს; მერე გლეხთა საკითხს. განზრახულია გლეხთა მდგომარეობა მოაწესრიგონო. გლეხთა საკითხის შესახებ კომისია უკვე ამთავრებს მუშაობას, ასე რომ შესაძლებელია კანონ-პროექტი სათათბიროს მომავალ სესიას წარუდგინონ.

✦ **წერილი ქართულ ლიტერატურის შესახებ.** ფრანგულ ცნობილ ჟურნალ „მერკიურ დე ფრანსის“ 16 ივლისის ნომერში დასტამბულია წერილი მ.—გ. პუანსოსა და მ. გობეჩიასი თანამედროვე ქართულ ლიტერატურის“ შესახებ. დიდად სასიამოვნო და აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ ასეთ ჟურნალში დასტამბა წერილი ქართულ ლიტერატურის შესახებ, მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი გობეჩია, რომელსაც უთუოდ ეკუთვნის ინიციატივა ამ წერილის დასტამბვისა, მაგრამ ვერ დავფარავთ, რომ წერილი ძალიან სუსტად არის შედგენილი. ჯერ ერთი აკლია სისტემა, მეორე გამოტოვებულია ისეთი მწერლები, რომელთაც უკვე სახელი აქვთ მოხვეჭილი ჩვენს მწერლობაში მაგალითად: ქართულ თეორიის მკვლევართა შორის მოხსენებულნი არ არიან პროფესორები. მარრი და ჯავახიშვილი, რომელთაც ფრიად სერიოზული ღვაწლი მიუძღვით ქართულ ისტორიის კვლევა-ძიებაში. ყოველ შემთხვევაში ეს პირველი ცდაა და როგორც ასეთს სიხარულით უნდა მივეგებოთ.

✦ **ახალი წიგნი.** მოგვივიდა „სორაპანის“ გამომცემელ ამხანაგობის სახალხოდ გამოცემული ახალი წიგნი „გაყრა“, ოთხ-მოქმედებიანი კომედია გიორგი ერისთავისა. კომედია პატარა და კოხტა ფორმატად არის გამოცემული და ღირს ერთ შაურად. „სორაპანს“ განზრახული აქვს გამოსცეს მთელი სერია ასეთ წიგნებისა.

✦ **შემოწირულობა.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო მის რწმუნებულის იოსებ ნიკოლოზის ძის მერკვილაძისაგან შეგროვილი შემოწირულობა შემდეგის პირებისა: ტრიფონ ლამბაშიძისა 2 მან., კოსტანტინე ჩხენკელიასი 2 მან., ფედორე კიწმარიშვილისა 2 მან., გიორგი გორდაძისა 3 მან., სავლე წერეთლისა 3 მან., მელიტონ ბერიშვილისა 50 კაპ., მიხეილ დემურიასი 50 კაპ., მაშა თავდიშვილისა 1 მან., ფილიპე ჭელიძისა 2 მან. და სოფიო ლუკას ასულის კანდელაკისა 1 მან. სულ 17 მან.

✦ **წესიერების დაცვა ტრამვაიზე.** ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, ხელი შეუწყონ ტრამვაიზე წესიერების დაცვას. თუ კონდუქტორი საბუთიანად მოსთხოვს მგზავრს ვაგონიდან გადასვლას, ხოლო მგზავრი წინააღმდეგი გახდება, პოლიციელი უნდა ეცადოს ზრდილობიანად გადაიყვანოს მგზავრი. როდესაც ვაგონში განსაზღვრულზე მეტი ხალხი ავა, რომელიმე მგზავრი გაჯიუტდება. ბილეთის აღების დროს და მით მიმოსვლას შეაფერხებს, პოლიციელი დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს საქმეში და ასეთი მგზავრი ჩამოიყვანოს ასევე უნდა მოექცნენ მთვრალებს და სხვას. პოლიციელებმა თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე, რომ კონდუქტორებმაც არ დაარღვიონ წესები. ვინც გაჯიუტდება ან სხვა რამ დანაშაულს [illegible] ნააღმდეგ ოქმი უნდა შეადგინონ და პასუხის გებაში მისცენ. ოქმის შედგენის დროს, რომ მიმოსვლა არ შეფერხდეს, პოლიციელმა მხოლოდ უნდა ჩაიწეროს ადრესი, ვაგონის ნომერი და ოქმი მერე შეადგინოს. ვაგონების გაჩერების უფლება არა აქვთ კონდუქტორებსა და დამტარებლებს იმის ლოდინში, რომ გაჯიუტებული მგზავრი ჩავა ვაგონიდან.

✦ **მკვლელობა.** არეშის ქუჩაზე, 13 ივლისს, ტფ. მცხოვრები ალექსანდრე მანუკიანცსა და იმის ხასას ევა კანდელაკისას ჩხუბი მოუვიდათ. მანუკიანცმა დანით ქალი რვა ადგილას დასჭრა. დაჭრილი ქალი $1^{1}/_{2}$ საათის შემდეგ გარდაიცვალა. მანუკიანცი მიიმალა, მაგრამ იგი მალე დააპატიმრეს.

✦ **ყალბი ფულის მჭრელნი.** 13 ივლისს პოლიციას გაუგია, რომ დერბენტის ქუჩაზე პოლიციის 1 ნაწილში ქუთაისის მოქალაქე მათე გაბელაშვილი ამზადებს და ასაღებს ყალბ 5 მანეთიანებსაო. გაბელაშვილისათვის ჯერ თვალ ყური უდევნებიათ და მერე შეუპყრიათ. 12 ივლის გაბელაშვილს მოასწრეს იმ დროს, როდესაც მან 500 მანეთის ხუთმანეთიანები გაჰყიდა 175 მანეთად. ამის შემდეგ გაჩხრიკეს ფამილაშვილის ბინა და ნახეს იქ ყალბი 50 და 20 კაპიკიანები. გაჩხრიკეს ფარნის სახელოსნო ნესტორ ლეჟავას რიყას და ვოლოპოლომქი ქუჩების კუთხეში, სადაც მუშაობს გაბელაშვილი, და ნახეს ყალბი ფულის საჭრელი მანქანები. გაბელაშვილი გამოტყდა და თავის ამხანაგად დაასახელა სახელოსნოში მომუშავე ნიკოლოზ ქავთარაძე ისიც დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე სახელოსნოს პატრონი ლეჟავა.

✦ **საუქციონო ზალის გადატანა.** არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ ტფ. ქალაქის კასიდან 2200 მან. ეძლეოდა მირზოევს სერგეევის ქუჩაზე საუქციონო ზალის ბინის ქირად. ეს ამოდენა ფული მიდიოდა ერთ მეზობელ ოთახისა და ერთ სარდაფისათვის. ზალის გამგემ

ბევრი ბრძანებდა ავტონომიის განხორციელება შეუძლებელია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სხვა და სხვა ერი სცხოვრობს: გურულები, იმერლები, მეგრელები და ქართველებიო. ამ უკანასკნელმა სიტყვამ ძალიან აალელვა აუდიტორიის ქართველი ნაწილი და ასტყდა აურ-ზაური. ბოლოს 29 აპრილის სხდომაზე იურიდიულმა საზოგადოებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „კავკასიის იურიდიული საზოგადოება, სცნობს რა, რომ კავკასიის ერებს უფლება აქვთ მიიღონ **ნაციონალ-კულტურული ავტონომია,** ამასთანავე სცნობს, რომ საქართველოსთვის სასურველია და ეხლავე განსახორციელებლად შესაძლებელი **ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომია**“ 1).

ეხლა ყველა აქ მოყრილ ცნობას რომ დავაკვირდეთ, არ შეიძლება არა ვთქვათ, რომ ჩვენს წინ ფრიად საინტერესო მოვლენა იშლება. ქართულმა ბურჟუაზიულმა წრეებმა ხმა ამოიღეს და მაურვალე მოსარჩლედ გამოვიდნენ საქართველოს ავტონომიისა. მუნიციპალიტეტების მოხსენებებში თავად-აზნაურთა ადრესში 2) იურიდიულ საზოგადოების რეზოლუციაში—ყველგან აღიარებულია ეროვნულ ავტონომიის პრინციპი, ხოლო იმსთანა ავტონომიისა, რომელსაც საზღვრები შეკრული არ ექმნება, არამედ თავისუფალი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. აქ ადამიანი უნებლიედ ჩაფიქრდება. რა სარგებლობას მოუტანს ამ გვარი გახსნილი ავტონომია ქართულ ბურჟუაზიას? ან იქნება იგი ერის ინტერესებით არის გამსჭვალული და ამ ინტერესების მოსარჩლეთ გამოდის? სენტიმენტალიზმისა და დიდსულოვანობის გაზვიადება პოლიტიკაში არ ვარგა. თუ რომელიმე კლასი განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმის შემოღებით შესამჩნევად ზარალშია, იგი არასოდეს არ გამოაცხადებს თავის თანხმობას მისთვის საზარალო წყობილების შემოღებაზე. ამიტომ ჩვენა გვგონია, რომ ქართულ ბურჟუაზიის აზრით მას, როგორც ჯერ კიდევ ნორჩ კლასს, ავტონომია ვნებას კი არ მოუტანს, არამედ სარგებლობას. მართალია, იგი დამოკნების აშენებას არა სცდილობს და კიდევაც რომ ააშენოს, უცხო კაპიტალი, როგორც უფრო ძლიერი, ყოველთვის ძლევს მას ეკონომიურ ნიადაგზე; მიუხედავად ამისა, ავტონომიის შემოღებით იგი მაინც ზარალში არ იქნება, რადგან ეროვნების კულტურულად აღორძინებას, რასაც შედეგი იქნება ავტონომიურ წეს-წყობილებისა, აუცილებლად მოჰყვება ქართველ ბურჟუაზიულ კლასების გაღონიერებაც. სწორედ ამასა ჰგრძნობს სომხის ბურჟუაზია და ამიტომ იცავს კავკასიის ავტონომიას და ებრძვის საქართველოს განკერძოებას. მაშ თუ კამათი ამ ნიადაგზე გადავიტანეთ, ეს იქნება ერთი ერის ბურჟუაზიის მისევა მეორე ერის ბურჟუაზიაზედ და საქმე შეფერხდება. ამიტომ **ჩვენ იმითი კი არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, საზარალოა თუ სასარგებლო ამა თუ იმ ერის ბურჟუაზიისათვის ავტონომიის შემოღება, არამედ იმითი, რამდენად საჭიროა იგი ქართულ კულტურის განსავითარებლად.** შეიძლება ამ კულტურის განვითარების ხანაში სარგებლობა ნახოს ქართველმა ბურჟუაზიამ, ხოლო ზარალი სომხის ბურჟუაზიამ, მაგრამ ამ კრიტერიუმის ძალის იმ ჯგუფებისათვის, რომელნიც პრინციპიალურად ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გარედ დგანან, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. აგრეთვე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებასაც, თუ სხვა პოლიტიკურ პირობებში, ავტონომია ხელსაყრელი გახდება სომხებისათვის და საზიანო ქართველ ბურჟუაზიისათვის. შეუძლებელია საკითხის დაყენება ისე, როგორც იგი იყო დაყენებული იურიდიულ საზოგადოებაში ორატორთა მიერ, ე. ი. ან საქართველოს ავტონომია, ან კავკასიის ავტონომია და ერთიც და მეორეც ერთად მოუთავსებელიაო. ჩვენ თავდა-პირველად საქართველოს ავტონომიისათვის ვმუშაობთ, მაგრამ ეგ ჩვენი მუშაობა ხელს არ უნდა უშლიდეს მთელ კავკასიისათვის მუშაობას. სადაც ერთ ტერიტორიაზე მეზობლად და არეულად რამდენიმე ერი სცხოვრობს, იქ მათ საცხოვრებელი წეს-წყობილებაც მათის საერთო ინტერესების მოდარაჯე უნდა იყოს. ამგვარ დარაჯად იქნება კავკასიის ფედერაცია. საქართველოს ერთეულის მოწყობიდან გამოვალთ, თუ კავკასიის ავტონომიის ნიადაგზე ვიდგებით, ეს სულ-ერთია. ცხოვრება გვაიძულებს ერთმანეთისაგან ვიბრუნოთ პირი და საერთო ინტერესების დაცვისათვის შესაფერი ორგანოები გავიჩინოთ. ვინც ამბობს, საერთო ინტერესები არ გვაქვსო, ის ან ცხოვრებაში დაკვირვებული არ არის, ან კიდევ ხელმძღვანელობს ვიწრო ნაციონალურის გრძნობებით. ხოლო არც ის არის მართალი, ვინც აქაოდა საქართველოს საერთო ბევრი რამა აქვს, დანარჩენ კავკასიასთან კერძოდ ქართულ ინტერესებს და მათ განსაკუთრებულ ორგანოებით დაკმაყოფილების საჭიროებას არა ჰხედავს. საჭიროა არა მარტო დეცენტრალიზაცია რუსეთისა, არამედ დეცენტრალიზაცია კავკასიისაც. ყველა ამას ჩვენ ქვემოდ დავუბრუნდებით, ეხლა კი აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

მოთხრობილ ფაქტების გრძელ სერიიდან გამოსჭვრეტს ერთი აზრი. ყველა, ვინც კი ავტონომიის მოსარჩლედ გამოსულა, იხსენიებს საქართველოს ისტორიულ უფლებებს და ზოგიერთი იმედსაც აცხადებს, რომ, სხვათა შორის, ამ უფლებათა ძალითაც უნდა მიენიჭოს საქართველოს ავტონომია. დავაკვირდეთ საგანს. 1783 წელს საქართველო საერთაშორისო ტრაქტატით შეეკვრა რუსეთს. ტრაქტატი არ აასრულეს. ვინ უნდა იყოს ამ უსამართლობის აღმადგენელი! პრინციპის მხრივ აშკარაა, იგი უნდა იყოს ერთა შორის არსებული და სავანგებოდ დაწესებული ორგანო—სამსჯავრო. და აი ამ პრინციპით შეიარაღებულმა ქართულ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მიმართა პეტიციით ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო 1907 წელ. განზრახვა ორიგინალურია და ამ ორიგინალურ განზრახვის შედეგიც ჰკუის მასწავლებელ მასალად გამოდგება! საქმე ასე იყო. გურიის აწიოკების შემდეგ (1906 წელს) ქართველმა ქალებმა პროტესტი გამოაცხადეს და ინგლისის გაზეთში მოწოდება დაბეჭდეს იმის გამო, რომ საქართველოში ძალადობას სჩადიან. ამ მოწოდებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ევროპის და რუსეთის პრესა ალაპარაკდა ამ საგნის შესახებ და ინგლისში „საქართველოს დაცვის საზოგადოებაც“ კი დაარსდა. 1907 წელს, როდესაც საქართველოს ისტორიულ უფლების აღმადგენელი მოძრაობა საკმაოდ მომწიფდა, შეადგინეს პეტიცია, რომელსაც 1200 კაცამდე მოაწერა ხელი. და გაუგზავნეს იგი ლონდონში ხსენებულ ახლად დაარსებულ „საქართველოს დაცვის საზოგადოებას“. ამ საზოგადოებამ ეს პეტიცია ჰააგის მუდმივ ტრიბუნალის წევრს პროფესორ ნისს (Niss) გაუგზავნა გასასინჯად და მის განხილვის შემდეგ თითო ცალი გაეგზავნა ჰააგაში მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციის წევრებს. დარიგდა სულ 250 ცალი. ასე რომ კონფერენციის გახსნამდე დელეგატებს მიღებული ჰქონდათ პეტიცია და ყველამ იცოდა, რაშიაც იყო საქმე. მაგრამ ეს საკითხი განსახილველ საგანთა სიაში ჩარიცხული არ იყო და კონფერენციის გახსნის დღეს თავმჯდომარემ ამის გამო ლაპარაკის ნება არავის მისცა. თვით პეტიცია ამგვარად იწყებოდა: „ჩვენ მოქალაქენი საქართველოსი, იმ ქვეყნისა, რომელიც უძველესს საქრისტიანო დამოუკიდებელ სამეფოს შეადგენდა, სამართლიანობის და ინტერნაციონალურ უფლების სახელით მოგმართავთ თქვენ, განათლებულ ერების წარმომადგენელთ, რომელნიც შეკრიბნენ ჰააგაში ინტერნაციონალურ მშვიდობიანობის გასამტკიცებლ კონფერენციაზე“. პეტიცია მოუთხრობს დაწვრილებით ისტორიას იმისას, თუ როგორ გადაიქცა საქართველო რუსეთის გუბერნიად. შემდეგ აქცევს ყურადღებას საქართველოს ეროვნულ დაჩაგვრაზედ 1905-1906 წლებში მომხდარ სასტიკ ამბებს. პეტიცია ამნაირად არის დამთავრებული: „თქვენს დახმარებას ვთხოვთ, რათა დავიბრუნოთ ჩვენი უფლებანი 1783 წ. ტრაქტატში გამოსახულნი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ჩვენს ტერიტორიას და ეროვნულ ავტონომიას რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ. 3) ერთის სიტყვით, პეტიცია ევროპის ჩარევას ითხოვდა რუსეთის შინაურ საქმეებში, რადგან საქართველოს მდგომარეობა დღეს რუსეთის „შინაური საქმეა“ სხვა არაფერი. მართალია, მას ხელში ტრაქტატი უჭირავს. მაგრამ ვინ არის ამ ტრაქტატის მცველი? თეორიულად ინტერნაციონალური სამართალი, პრაქტიკულად კი მარტო იდეინ პეტიციონერთა სურვილი. ინტერნაციონალურ სამართალს სახელმწიფოებრივი ძალდატანების უფლება რომ ჰქონოდა, მაშინ შეიძლებოდა მასზე დამყარება, მაგრამ იგი ამ ძალას მოკლებულია, ამიტომ ამ სამართლის რეალური მნიშვნელობა პრობლემატიურია. პეტიციონერებმა ეხლა ეს გამოცდილებით იციან. და თუმცა იმედს არა ჰკარგავენ საბოლოვო სამართლის გამარჯვებისას, მაგრამ ევროპისაგან შველას, მგონი, აღარ ელიან. ესეც კარგი გაკვეთილია. მაგრამ, ჩვენის მხრივ ერთი რამ უნდა ვსთქვათ. ავტონომისტებს ისტორიული უფლებრივი დოკუმენტი მაინც ხელში უნდა ეჭიროთ არა ინტერნაციონალურ სამსჯავროში წარსადგენად, არამედ რუსეთის პარლამენტში საბრძოლველად. პარლამენტი უფლების გამამტკიცებელი ასპარეზია. ამიტომ იურიდიული საბუთი არსად ისე არ გამოდგება, როგორც პარლამენტის ტრიბუნაზე. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ფინლიანდია ყოველთვის ამ უფლებრივ ნიადაგზე იდგა და მეცნიერნიც კი ალაპარაკა ფინლანდიის ხელშეუხლებელ ავტონომიურ სახელმწიფოების შესახებ. ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ უფრო რთულია. საქართველო გადახლართულია სხვა ერების ცხოვრებასთან. ~~ხოლო ეს~~ გარემოება სრულიად არ უკარგავს იურიდიულ ძალას ხელშეკრულობას რუსეთთან.

ამითი გავათავებთ იმ ფაქტების აღნუსხვას, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს საზოგადოების წრეებში და ახლა ისევ დავუბრუნდეთ უკიდურესებს, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატებს და ავადევნოთ თვალი იმ საგულისხმო ევოლიუციის ეროვნულ კითხვის გადაწყვეტაში, რომელიც ხდება ამ წრეში უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში.

არჩილ ჯორჯაძე.

---

1) კრების სხდომების ანგარიში იხ. „ცნობის ფურცელში“ NN 13, 17, 18, 24. 1906 წ.

2) ეს ადრესი თავის შინაარსით დემოკრატიულ პრინციპებს ემყარება, ამიტომ თავად-აზნაურულ ინტერესების გამომხატველად არ ჩაითვლება.

3) L'independance Belge 29 juin, 1907.

ყიფიანმა ეს ზარალი აამორა ქალაქს. მან დაიქირა ადგილი ქალაქის გამგეობის სადგომის გვერდით. 7 მოზდილი ოთახი დაიქირავა ტფ. გუბერნიის თავ.-აზნ. შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სახლში განოვის ქუჩაზე წელიწადში 950 მანეთად. ქალაქის გამგეობა თანახმა გახდა ზალის გადატანისა.

✦ **საჯარო ვაჭრობა.** ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში საჯარო ვაჭრობა დაიწყო 13 ივლის. გასასყიდად იყო 40 მამულზე მეტი. ამ დღეს სავადო გადასახადი ბევრმა შეიტანა, ბანკმა ამ დღეს 50,000 მანეთამდე მიიღო და საჯარო ვაჭრობას ბევრი მამული გადარჩა. საჯარო ვაჭრობა დაიწყო ნაშუადღევის 5 საათზე. ორი მამული გაიყიდა. მეორე დღესაც იყო ვაჭრობა.

✦ **სტიპენდიები.** ქ-ნმა მირზოევისამ, როგორც ვწერდით, უნდა აასრულოს ქმრის ანდერძი სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. იმდენი თავისუფალი თანხაა ამ ჟამად, რომ თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, მომავალ სექტემბრიდან 15 კაცს დაენიშნება სტიპენდია. 15 კაციდან ორს ქართველს ენიშნება სტიპენდია. დიდი ძალი თხოვნები მიიღო ქ-ნმა მირზოევისამ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთაგან სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

✦ **უპასპორტოები.** 13 ივლისს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-6 ნაწილში დააპატიმრეს 43 უპასპორტო კაცი.

✦ **თათბირი ერობის შესახებ.** გუშინ, 14 ივლის საღამოთი ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი ერობის შემოღების შესახებ. თათბირი დღეს, 15 ივლისსაც მოხდება სათავად-აზნაურო სათეატრო დარბაზში.

✦ **ექსარხოსის მოადგილე.** იმერეთის ეპისკოპოსი ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა საქართველოს ექსარხოსის თანამდებობის აღსრულებას.

✦ არქიმანდრიტ ამბროსის ნაცვლად სასინოდო კანტორის წევრად დანიშნული მოწამეთის წინამძღვარი არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე) ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ 13 ივლისს, ფეირვერქის ქუჩაზე, რკინის გზის ხიდთან მდგომ მორიგე პოლიციელებს გაუჩერებიათ ორი უცნობი და შესდგომიან ჩხრეკას. ამ დროს გამოუვლია მესამე უცნობსაც. პოლიციელებს იმის გაჩერებაც განუზრახავთ, მაგრამ მას რევოლვერი ამოუღია და უსროლია, მაგრამ აუცდენია. უცნობი გაქცეულან.

✦ 12 ივლისს მიხეილის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონისაგან დაშავებული უცნობი კაცი აღმოჩნდა თიანეთის მაზრის მცხოვრები ივანე გველაძე. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

მოწერილი ამბები

ქიზიყი. საშინელი სიცხეები დაიჭირა ამ ბოლო ხანებში. რაც აქამდის ვისიამოვნეთ ჩინებულის, შეხამებულის და ზომიერის ამინდით, ეხლა ამ ორსამ კვირაში მთლად ჩაგვშხამდა. ნათესობა მთლად ამოხმა. მხოლოდ სულადის მოსავალმა აასწრო სიცხეებს, მშვენიერი მოსავალია პურისა, ქერისა, ფეტვისა. ეხლა გახურებული კალოობაა. უსაქონლო მეკომურთა მომეტებულმა ნაწილმა თავისი სარჩო, მოსავალი კიდეც გალეწა მანქანების საშუალებით.

ეხლა ჩვენსკენ რამდენიმე სალეწი მანქანა მუშაობს, ორთქლისა და ცხენის ძალისა. მემანქანის პატრონი გალეწილის პურის მეთერთმეტე ნაწილს იღებს.

ს. ქვემო-მაჩხაანში მგონი მალე ფოსტის განყოფილება დაგვიარსდეს. თუმცა კარგა ხანია იყო სურვილი ამ განყოფილების დაარსებისა, მაგრამ აქამდის ვერ გვეღირსა. ეხლა კი სოფ. ქვემო-მაჩხაანის ბოქაულის მ. ნასიძის შუამდგომლობით დათანხმებულან გახსნან ს. ქვემო-მაჩხაანში ფოსტის განყოფილება უკეთუ ადგილობრივი სოფლის საზოგადოებანი იკისრებენ სახლის დაქირავებას და შეშის გადებას სამის წლის განმავლობაში... სოფლის საზოგადოებებმა უკვე დაადგინეს შესაფერი განაჩენები და მალე წარადგენენ სადაც ჯერ არს... X.

—

ჯუგაანი (ქიზიყი). ეხლა უკვე ყველამ იცის, რომ ქიზიყში არა თუ არ არის მოჭარბებული ადგილ-მამული შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა დასასახლკარებლად, როგორც აქამდის ეგონათ ჩვენი სვე-ბედის გამგეთ, არამედ თვით ქიზიყელნიც იძულებულნი არიან ყოველ წელს შორეულ ადგილებში, ალაზან გაღმა შეიძინონ და აიღონ იჯარით სახნავ-სათესი მიწები თავადებისაგან. ამავე ყოფა-მდგომარეობაში იყო სოფელი ჯუგაანიც ამ ორ წლამდის, სანამ ალაზან გაღმა მხრის, თ. დ. ჩოლოყაშვილისეული, ეგრედ წოდებული, ჭიაურის მამული, სახელმწიფო ბანკმა არ დაინარჩუნა. ჯუგაანელნი მაშინათვე დაფაცურდნენ. უკეთუ ეს ჭიაურის მამული ხელიდან გაუსხლტებოდათ (ყოველ წელს ესენი იღებდნენ იჯარით), ჯუგაანელებს უმიწა-წყლობით სული შეეხუთებოდათ. ამიტომ მათ ამოირჩიეს კაცები და შეუდგნენ იმ მამულის სყიდვა-შეძენის თადარიგს. თუმცა პირველ ხანებში ბანკის წარმომადგენელნი უყოყმანობდნენ, პირველ ხანად შესატან ბედ ხან რვაას თუმანს სთხოვდნენ, ხან მეტს, მაგრამ როდესაც ჯუგაანელებმა მოახერხეს და თავიანთ კუთვნილ მაღაზიის ფულიდან 14,000 მანეთი გადაიტანეს ბანკის სახელზე, მაშინ კი ჯუგაანელებს სიტყვიერი თანხმობა მოუყვიდათ მამულის შეძენისა.

ჭიაურის მამული სულ 11,083 დესეტინაა. მთლად ამ მამულში $55^1/_2$ წლის განმავლობაში ჯუგაანელებმა უნდა გადაიხადონ 87,043 მან. პირობა ასეა, მაგრამ დღემდის ჯუგაანელებს არ ეღირსათ მამულის დამტკიცება და კვლავინდებურად საიჯარო ფულს ახდევინებენ. საიჯარო ფულის გადახდას კიდევ არ ინაღვლიდნენ ჯუგაანელნი, თუ შემოდგომამდის მაინც დაასცდიდნენ ფულის შეტანას, როდესაც ადამიანი ან სულადის, ან თამბაქოს გაყიდვით ხელს მოინაცვლებდა. სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივმა გამგემ, რაკი დაინახა ნათესის კარგი პირი, ეხლავე წაუჭირა ყელში ჯუგაანელებს: „ეხლავე ფული მოთხარეთ, თორემ სიმინდთამბაქოში ფეხს არ შეგადგმევინებთო“. როგორც იყო, რის წვალებით, ისესხეს და ჩააბარეს ოც თუმანზე მეტი. არ გასულა ორი კვირა, კიდევ კაცი აფრინა ჯუგაანში მამასახლისთან, ორ დღეში დანარჩენი ფულიც შემოიტანეთ, თორემ თქვენს ნაშრომზე უეჭველად ხელს აგაღებინებთო“... დაღონდნენ ჯუგაანელნი, მაგრამ ამ საშინელ ქესატობის დროს ფულს სად იშოვნიდნენ.. მეთამბაქოები დეპეშით შეეხვეწნენ ტფილისში ბანკს, შემოდგომამდის ედროვებინათ გადასახადი. მგონი თანხმობა მოსვლიათ... ვისაც კი სასიმინდე აქვს მოხნული მგონი მათ არ ადროვებენ გადასახადს და შარშანდებურად, როდესაც სიმინდს მოსწრიან, ურმებზე დაუდებენ და ცოტას გამოაცილებენ, ბანკის კაცები გადაუდგებიან დატვირთულ ურმებს, ორი-სამი დღე მოაცდენენ ხალხს, საქონელს და სანამ მთლად არ მოატანინებენ ფულს არ მოუშვებიან...

აი ამგვარად შეიძინეს ჯუგაანელებმა მათთვის უსაჭიროესი ჩოლოყაშვილისეული მამული. X

—

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა). 8 ივლის საშინელმა გრიგალმა ქარმა დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებთ. ოთხმოცი წლის მოხუცნი გაოცებულნი არიან ბუნების ამ საშინელ მოვლენით. ძირიანად დაგლიჯა ას წლოვანი კაკლისა სხვა ხეხილის ძირები. ნაყოფი რაღას შერჩებოდა. მომკილი პურის ძნები ჰაერში აათრიალა, ერთი ნამკალი მეორე-მესამეში აურია და კარგა მანძილზე გარტყორცნა. მოცელილი ყანები ხომ სულ დაჰკარგა. ი. თუხარელის ოთხი დღის ნაცელი ყანა სრულებით დაჰკარგა თითქმის. პატრონს იმის მეტიც არ გააჩნდა.

ბევრი მუშა ქალი და კაცი აატირა ამ საშინელმა გრიგალის ქარმა. რაც დიდმა გვალვამ დააკლო, ამ ქარმა შეუსრულა. გარდა ამისა, კიდევ დიდი გვალვაა. სიმინდი მეტ წილად ხმება; ხალხი თითქმის ერთმანეთზე იწევს სარწყავ წყლის თაობაზე, სოფლები ერთი მეორეზე უკმაყოფილონი არიან კიდევ კარგი მერაბი ახერხებს და აგვარებს საქმეს. **აქაური.**

ოსმალეთის ამბები

ოსმალეთის ეროვნული უქმე.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ აცნობა თავიანთ წარმომადგენლებს საზღვარ-გარედ, რომ ოსმალეთის დეპუტატთა პალატამ დაადგინა, ამას იქით 10 ივლისი—კონსტიტუციის აღდგენის წლის თავი—ეროვნულ უქმედ დაიდვასო. სულთანმა დაამტკიცა პალატის დადგენილებაო.

კრიტოსის საქმე

ომი არ იქნება.

ერთ რუსის დიპლომატს, კუნძულ კრიტოს საქმეში კარგად ჩახედულს, უთქვამს „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომლისთვის:

— დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა და საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის შეტაკება არ მოხდება. კრიტელებმა თავი მოიხარეს მფარველ სახელმწიფოთა დადგენილების წინაშე და რამდენადაც ვიცი, წინააღმდეგობის გაწევა მათ ფიქრადაც არ მოსდით. მათ მშვენივრად ესმით თავიანთი მდგომარეობა. დარწმუნებული ვარ, რომ ოსმალეთის მთავრობაც შესაფერისს სიდინჯით მოეკიდება კრიტეს საქმეს. ჩვენთვის, დიპლომატებისთვის ცხადია, რომ ამ საქმის გამწვავებულმა ხანამ უკვე გაიარა. გერმანულ და ინგლისურ გაზეთების სენსაციონურს ცნობებს კრიტეს საქმეზე დიდის სიფრთხილით უნდა მოვეკიდნეთ ხოლმე, მით უმეტეს რომ კრიტეს საქმის გარშემო დიდი თამაშობაა გამართული ბირჟაზე.

— მაშ თქვენ ოპტიმისტურად უყურებთ მომავალს.

— დარწმუნებით შემიძლიან გითხრათ, რომ ოსმალეთ საბერძნეთის ომზე ამ წამს ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება.

საბერძნეთის ძველი სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და ძველ პირველ მინისტრის თეოტოკისის ნაცვლად დაინიშნა რალი. ახალ პირველ მინისტრს თავის უმთავრეს საქმედ მიაჩნია მშვიდობიანობის დაცვა, ოსმალეთთან კარგი განწყობილობა და კრიტეს საქმის მორიგებით გადაწყვეტა.

რუსეთი

✦ **გაქცევა და ფულის გატაცება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით კიევ-პეჩერის ლავრიდან საზღვარ-გარეთ გაქცეულა მღვდელ-მონოზანი ალექსანდრე. მღვდელმონოზანს თან წაუღია რამდენიმე ათი ათასი მანეთი.

✦ **ებრაელები ფინლიანდიაში.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ფინლიანდიის სენატის კომისიამ შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტით ფინლიანდიაში ახლად ჩასულ ებრაელებს სამი თვე არ შეუძლიანთ იცხოვრონ ფინლიანდიაში. სამი თვის შემდეგ ებრაელებს შეუძლიანთ შუამდგომლობანი აღძრან, რის შემდეგ მათ 6 თვით კიდევ შეუძლიანთ იცხოვრონ ფინლიანდიაში. თუ ამ ხნის შემდეგ პოლიცია და იმ ადგილის მცხოვრებნი, სადაც ებრაელი სცხოვრობს, პროტესტი არ განაცხადეს, ებრაელს უფლება აქვს დარჩეს ფინლიანდიაში. ათი წლის შემდეგ ებრაელი ფინლიანდიის მოქალაქედ ჩაითვლება. ფინლიანდიაში დაბადებულ ებრაელებს ფინლანდიის მოქალაქეებად ჩასთვლიან, თუ ეს უკანასკნელნი ფინლიანდიაში 21 წლამდის იცხოვრებენ.

✦ **მემკვიდრეობისთვის.** „სევერ. ზაპ. სლოვ.“-ს ქალაქ ოსტროვციდან ატყობინებენ: ერთი სახლის სარდაფში პოლიციამ იპოვა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სარდაფში ხელ-ფეხ შეკრულს სამი წელიწადი გაუტარებია. საქმე ამნაირად ყოფილა: სოფიო კესტენბერგს თავის ორი ძმისაგან უნდა მიეღო 6,000 მანეთი, რომელიც მას დედ-მამამ დაუტოვა. ძმებს გადაუწყვეტიათ ამ ფულის მითვისება და თავის დის თავიდან მოშორება. შეუკრამთ მისთვის ხელ-ფეხი და თავიანთ სახლის სარდაფში ჩაუგდიათ. სარდაფი ნესტიანია, სავსეა დიდი თაგვებით და საზიზღარ მატლებით. თაგვებს და მატლებს ისეთი დღე დაუყენებიათ საწყლისთვის, რომ გასაკვირველია, როგორ-ღა დარჩა ცოცხალი. მისი ტანი სულ სისხლითა და ჭუჭყით არის დაფარული, ხელ-ფეხი ისე მაგრა ჰქონია შეკრული, რომ ეხლა ველარ ამოძრავებს მათ. სოფიო კესტენბერგი ველარ ლაპარაკობს და მარტო ტირი, ხალხის დანახვაზე კანკალი იტანს. მისი ძმები დააპატიმრეს.

✦ **შრომის ჯგუფში.** „კასპის“ სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფს მაძებარ პოლიციის შესახებ აუარებელი მასალა შეუკრებია. შრომის ჯგუფს აზრად აქვს მაძებარ პოლიციის შესახებ შეკითხვა შეიტანოს სახელმწიფო სათათბიროში.

✦ **1910 წლის ბიუჯეტი.** „რეჩის“ სიტყვით უკვე შეუდგენიათ 1910 წლის ბიუჯეტი. შემოსავალი გასავალს ვერა ჰფარავს. დეფიციტი 50,000 მანეთს უდრის. ამავე გაზეთის სიტყვით პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ ამ დეფიციტის დასაფარავად სესხს აიღებენო.

✦ **გაზეთები იკეტება.** როგორც დეპეშებიდან ვიცით დაიკეტა გაზეთი „სლოვო“. „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით ამ დღეებში დაიკეტა გაზეთი „ნოვაია რუსი“. მიზეზი ერთი და იგივეა—სახსარის უქონლობა.

✦ **შურის-ძიება.** „რეჩს“ სოფელ დუგინიდან, სმოლენსკის გუბერნია, ატყობინებენ: თავად მეშჩერსკების მამულის ეკონომმა—ქალმა ცულით თავი მოსჭრა მეშჩერსკის ქალიშვილს ალექსანდრას, გიმნაზიის მეოთხე კლასს მოწაფეს. ეკონომმა—ქალმა შური იძია, იგი ადგილიდან დაითხოვეს.

✦ **„პოჩაევსკია იზვესტია“.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, სინოდმა დაჰკეტა გაზეთი „პოჩაევსკია იზვესტია“... მაგრამ მიუხედავად ამ განკარგულებისა გაზეთი მაინც გამოდის თურმე!! ამ გაზეთს რედაქტორობს ცნობილი შავრაზმელი არქიმანდრიტი ვიტალი. ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში არშიანი პროექტით შემდეგი დაბეჭდილა:... „წყევლა და კრულვა ყველა იმათ, ვინც მართლმადიდებლობა გაჰყიდა: დაგვიანება აღარ შეიძლება! სახელმწიფო სათათბირომ მართლმადიდებელი სარწმუნოება გაჰყიდა! საჭიროა საეკლესიო სობორის მოწვევა. საეკლესიო სობორომ უნდა თავისი სიტყვა სთქვას —უნდა სთქვას, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არამც თუ დაწყევლილ „ჟიდების“ სარწმუნოებას არ უნდა გაუთანასწორდეს, არამედ არც ერეტიკ კათოლიკეებს და ლიუტერანებს. საეკლესიო სობორომ მართლმადიდებელი ეკლესია მოხელეებისგან და სახელმწიფოს სათათბიროში შეკრებილ ურწმუნოთა ბრბოსაგან უნდა გაანთავისუფლოს და ეს უკანასკნელნი წყევლა-კრულვას უნდა მისცენ. წყევლა და კრულვა ყველა მოღალატეებს, რა ადგილიც არ უნდა ეჭიროთ!!“

✦ **სასამართლოში.** 7 ივლისს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე უბნის ზედამხედველ ბუევიჩისა. საბრალმდებლო ოქმით საქმე ამნაირად ყოფილა: 1907 წელს ვინმე სუნდერისთვის სახლიდან 1500 მანეთი მოუპარავთ. ბუევიჩს და ერთ სხვა უბნის ზედამხედველს ქურდი აღმოუჩენიათ, რისთვისაც სუნდერისთვის 200 მანეთი მოუთხოვნიათ (თითოს 100 მანეთი). სუნდერს 100 მანეთი მიუციათ. გასულა რამდენიმე დღე და სუნდერთან ესევე უბნის ზედამხედველნი მისულან და სახლი გაუჩხრეკიათ, თქვენ სახლში მოპარული ზეთი ინახებაო. სუნდერს მართლაც აღმოსჩენია ზეთი, მაგრამ ნაქურდალი კი არა, არამედ ნაყიდი. უბნის ზედამხედველებს სუნდერისთვის უთქვამთ, 2000 მანეთი მიგვეცი, თორემ საქმეს სასამართლომდის მოვიყვანთო. სუნდერს აუღია 2000 მანეთისა ბანკის ბილეთები მიუცია, უბნის ზედამხედველები არ დაკმაყოფილებულან, ამდენი და ამდენი გვაკლდებაო და შეგვისრულეო. სუნდერი გაბრაზებულა და უჩივლია. სასამართლომ ბუევს 2 წლით და 9 თვით დაპატიმრება გადაუწყვეტია. მეორე უბნის ზედამხედველი კი გამოსაცდელად სულით ავადმყოფთა საავადმყოფოშია.

✦ **ბერების ცხოვრებიდან.** ამ ჟამად წმ. სერგეი რადონეჟელის მონასტერში ბერების კრებაა. 7 ივლისის კრებაზე, სხვათა შორის, აღძრავთ საკითხი, შევიმუშავოთ ისეთი ზომები, რომლებიც ბერებში ლოთობას მოსპობსო. ერთი მონასტრის წინამძღოლს განუცხადებია, ლოთობის მოსპობა ყოვლად შეუძლებელია, ყოველნაირი ზომები ვიხმარე, მაგრამ ვერას გავხდი, ჩემ მონასტერში ვერც ერთ ბერს ვერ ნახავთ, რომ ლოთი არ იყოსო!!?

წერილი რედ. მიმართ

აგერ ორი წელიწადი ნახევარია, რაც განსვენებული ივანე ახალშენიშვილი გარდაიცვალა. მას ჰქონდა რამდენიმე პიესა გადათარგმნილი, ზოგი ერთი უკვე მიცემული იყო დასაბეჭდად, მაგალითად, ორი პიესა დოდესი ერთიც გაუპტმანისა. გაუპტმანის პიესა „ფეიქრები“ იბეჭდებოდა 1905 წ. „ივერიის“ დამატებად, როდესაც რედაქტორობდა ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი და თანამშრომლობდნენ ბ-ნი კ. თუმანიშვილი, ი. ცინცაძე და სხვანი. პიესას ბედმა უმუხთლა, გათავება ვეღარ ეღირსა, შეჩერდა ბეჭდვა. დაიბეჭდა მხოლოდ სამი მოქმედება, ორი დარჩა დაუბეჭდავი. თვითონ განსვენებული ი. ახალშენიშვილი ფიქრობდა ან დღეს ან ხვალ ცენზორი ნებას მისცემს, დანარჩენიც დაიბეჭდება. რაღა გაგიგრძელოთ. ამ ცდაში უცერ გარდაიცვალა, პიესები კი იქვე დარჩა. ეს მოვიკითხე, მაგრამ მაშინვე პასუხი ვერ მომცეს. დავიწყე ძებნა. ვიკითხე თითქმის ყველა სტამბაში, რედაქციაში, „ცისკრის“ საზოგადოებაში, ცენზურაში და კერძო პირებთან, მაგრამ ამაოდ. მივმართე თვით კ. თუმანიშვილს, მან ეძება, ვერ იპოვა, მითხრა დამეცადა ფ. გოგიჩაიშვილისთვის სანამ ჩამოვიდოდა, რომელიც იმ ჟამად საზღვარ-გარედ იმყოფებოდა. ფ. გოგიჩაიშვილი ჩამოვიდა თუ არა, მივმართე მასაც. მან მიიღო შრომა, მონახა, იპოვა მხოლოდ დოდეს პიესა „დაბრკოლება“ ერთი ლექსი და გადმომცა, რისთვისაც მადლობას ვუხდი. იქ რომ ვერაფერს გავხდი ისევ ბ-ნ კ. თუმანიშვილს მივმართე. მან ბ-ნ ქუჯის დახმარებით მიიღო შრომა, მონახეს და ზუბალაშვილის კანტორაში იპოვეს მხოლოდ დაბეჭდილი („ოტისკები“) სამი მოქმედება პიესის „ფეიქრებისა“, რომელიც გადმომცეს, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი. დედანი კი ამ პიესისა, ე. ი. თარგმანი, დაიკარგა. დაიკარგა აგრეთვე ერთი პიესა დოდესი.

დანაკარგი საზოგადოდ ძნელია, მით უმეტესათ ძნელია დაკარგვა ლიტერატურულ ნაშრომისა. არაფერს ვიტყვი დანარჩენზე, მაგრამ ასეთ პიესის უყურადღებოდ მოპყრობა, როგორიც არის „ფეიქრები“ ჰაუპტმანისა, მგონი არ საპატიებელია. რომ გადავშინჯოთ მთელი რეპერტუარი ქართულ თეატრსა, მგონი ასეთს შინაარსიანს, საყურადღებო და დროს შესაფერ პიესას ვერ ვიპოვით. იგი კი ისე შეიკარგა უკვალოდ, რომ აღარ იცის ადამიანმა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. გარდა იმასა, რომ პიესა თითონ კარგი იყო, დასანანია შრომაც მთარგმნელისა. ვგონებ შრომის დაფასება ყოველთვის და ყველასი საჭიროა. მით უმეტეს კარგისა და კარგად ნაშრომისა. „ფეიქრები“ კი ძალიან კარგი ენით იყო ნათარგმნი, როგორც საზოგადოდ ყველა თარგმანი განსვენებული ახალშენიშვილისა.

მივმართავ ყველას, ვისაც სადმე იპოვონ თარგმანი „ფეიქრებისა“, გადმომცენ, რადგან მათთვის იგი უვარგისი იქნება, ჩემთვის კი საჭირო. ვეცდები [illegible] ორი მოქმედების [illegible] ამ მოკლე ხანში და გამოვცე. მივმართავ აგრეთვე გამომცემლებს და რედაქტორებს მოათავსონ როგორც თავიანთ გამოცემაში დარჩენილი თარგმანები: „მეეტლე ჰენშელი“—გაუპტმანისა. „დაბრკოლება“ — დოდესი, „ჩვენს ძალას არ აღემატება“—ბიერნსონისა. ყველა ამათ დავუთმობ უმცირეს საფასურით, რადგან ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ შრომა არ დაიკარგოს. ამ დარჩენილს ნაშრომის დაბეჭდვა არც ეგრე ძნელი იქნება დრო გამომცემლებით.

ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაიბეჭდონ ეს წერილი.

ანნა ახალშენიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანცსა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
საღამოთი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—127)

◀ სიკვდილი ▶
ბაღლინჯოებს!
ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი. დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—7)

შემთხვევით
იყიდება
ორ სართულიანი სახლი
მატერიალნი ქ. № 10. წყნეთის ქუჩის ახლოს პირობების გაგება შეიძლება იქვე. (3—334—3)

Наивысшая награда

Швейныя машины „Кайзеръ“
ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში,
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან, **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე**. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბეს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—53)

სტამბა „სინათლე“ დიდი ვანქის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.